საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1775

2017 წლის 25 აგვისტო

ქ. თბილისი

შპს „აბაშის საგზაო სამმართველოს“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდგომში – დებულება) 7^4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 1^1 პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციის მიზნით, შპს „აბაშის საგზაო სამმართველო“ (ს/ნ: 222430590) 3 თვის ვადით გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცეს უფლება, მოიპოვოს 6 000 $მ^3$ საშენი მასალა (ქვიშა-ხრეში) აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელი ძველი აბაშის მიმდებარე ტერიტორიაზე, შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

№	X	Y
1	268286.923	4681058.081
2	268335.278	4681141.233
3	268345.661	4681166.825
4	268399.239	4681184.684
5	268406.383	4681215.641
6	268403.576	4681237.136
7	268419.000	4681257.000
8	268438.504	4681244.810
9	268430.989	4681175.556
10	268388.523	4681093.800
11	268334.548	4681035.062
S = 12339 $მ^2$		
WGS 1984.		

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი – შპს „აბაშის საგზაო სამმართველო“ ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით (გეოსაინფორმაციო პაკეტი) განსაზღვრული პირობების შესრულება;
ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;
გ) დებულების 7^4 მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 1043 ლარის გადახდა.
3. შპს „აბაშის საგზაო სამმართველოს“ მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).
4. შპს „აბაშის საგზაო სამმართველომ“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**